

შპს „ბლექ სი არენა ჯორჯია“

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებები
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	4

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია.....	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები.....	10
5. წინა პერიოდის შეცდომები და მსს ფასს სტანდარტზე გადასვლა	11
6. შემოსულობა სახელმწიფო სუბსიდიებიდან	12
7. შემოსავალი კომერციული საქმიანობიდან	12
8. შრომის ანაზღაურება	12
9. გადასახადები (გარდა მოგების გადასახადისა).....	13
10. კომუნალური ხარჯები	13
11. იჯარის ხარჯები.....	13
12. სხვა საოპერაციო ხარჯები.....	13
13. სხვა არასაოპერაციო ხარჯი	14
14. ფინანსური შემოსავალი	14
15. ძირითადი საშუალებები	15
16. არამატერიალური აქტივები	16
17. არამატერიალური აქტივებისთვის გადახდილი ავანსი	17
18. სასაქონლო-მატერიალური მარაგები.....	17
19. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17
20. საგადასახადო აქტივი	17
21. ფული და ფულის ეკვივალენტები	18
22. კაპიტალი.....	18
23. სავაჭრო ვალდებულებები	18
24. პირობითი ვალდებულებები	18
25. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან.....	19
26. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	19

მმართველობის ანგარიშგება

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ	21
2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები.....	21
3. სუბიექტის განვითარების გეგმები	22
4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა	23
5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ.....	23
6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები.	23
7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	23

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ბლექ სი არენა ჯორჯია-ს“ ხელმძღვანელობასა და მეწილეებს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ბლექ სი არენა ჯორჯია“-ს (შემდგომში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე კომპანიის საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი ნაკადების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღისათვის, შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა ახსნა-განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხების ეფექტის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი ნაკადების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღისათვის, მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის მოქმედი ფინანსური ანგარიშგების მომზადების საერთაშორისო სტანდარტის და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ კომპანიის აუდიტორებად დავინიშნეთ 2020 წლის ივლისში, შესაბამისად ჩვენ არ დავსწრებივართ მარაგების ინვენტარიზაციას 2019 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით, მარაგების და ოპერაციების სპეციფიკიდან გამომდინარე, სხვა ალტერნატიული პროცედურით ვერ შევძელით საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულების მოპოვება ზემოთ მოცემულ თარიღებში მარაგების რაოდენობრივ სისწორესა და მდგომარეობაზე. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ მარაგებთან დაკავშირებით, აგრეთვე სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგების ელემენტებში. აუდიტორის მოსაზრება 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე ასევე მოდიფიცირებული იყო საანგარიშგებო თარიღებში მარაგების ფიზიკური არსებობის დადასტურებასთან მიმართებაში.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 69,202 ლარს. როგორც ეს მოცემულია ფინანსური ანგარიშგების 22-ე შენიშვნაში, 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საწესდებო კაპიტალში განხორციელებულმა არაფულადმა შენატანებმა შეადგინა 62,110 ლარი (ძირითადი საშუალებები 61,624 ლარი და მარაგები 486 ლარი). ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, რათა შეგვემოწმებინა თუ რამდენად მოხდა არაფულადი შენატანების საწყისი აღიარება გაუფასურების ტესტირების ჩათვლით შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნების დაცვით. შესაბამისად, ჩვენ ვერ შევძელით იმის დადგენა, საჭირო იყო თუ არა კორექტირების შეტანა საწესდებო კაპიტალში შეტანილ ძირითად საშუალებებსა და მარაგებთან მიმართებაში. აუდიტორის მოსაზრება 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე ასევე იყო მოდიფიცირებული კაპიტალში განხორციელებულ არაფულად შენატანების ღირებულების სისწორეზე.

როგორც ეს მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-13 შენიშვნაში, კომპანიამ 2019 წელს ჩაატარა ძირითადი საშუალებებისა და მარაგების სრული ინვენტარიზაცია, რის შედეგადაც მოახდინა ინვენტარიზაციის გზით მიღებული დანაკლისის ჩამოწერა და შესაბამისად ზედმეტობის შემოსავალში აღება. ინვენტარიზაციის შედეგად მიღებული დანაკლისის და ზედმეტობის მნიშვნელოვანი ნაწილი უკავშირდება გასულ პერიოდებში განხორციელებულ არაფულადს შენატანებს კაპიტალში. შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განვსაზღვრა მიმდინარე პერიოდის შედეგში აღიარებული დანაკლისიდან რა ნაწილი უნდა აღირდეს კაპიტალში განხორციელებულ ოპერაციებთან ერთად. 2019 წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ინვენტარიზაციის შედეგად აღიარებულმა ნეტო დანაკლისმა შეადგინა 1,074 ლარი.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობები დამატებით აღწერილია წინამდებარე ანგარიშში: აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, როგორც ამას ითვალისწინებს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის (IESBA-ის კოდექსი). შევასრულეთ IESBA-ს კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

ჩვენ გვჯერა, რომ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები არის საკმარისი და სათანადო პირობითი მოსაზრების გამოსახატად.

სხვა საკითხები

კომპანიის ფასს-ებით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის სხვა აუდიტორებმა ჩაატარეს, რომლებმაც ხსენებულ ანგარიშგებასთან დაკავშირებით გამოსცეს პირობითი დასკვნა.

როგორც ეს მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მეხუთე შენიშვნაში, კომპანიამ მიმდინარე წელს გაასწორა გასული პერიოდის შეცდომები, ასევე შეცვალა ანგარიშგების მომზადების სტრუქტურული საფუძვლები. ჩვენ 2019 წლის აუდიტის ფარგლებში შევამოწმეთ ფინანსური ანგარიშგების მე-5 შენიშვნაში წარდგენილი შესწორებები რაც ეხება შესადარის პერიოდში წარდგენილ შედეგებს. ჩვენი აზრით, მსგავსი შესწორებები მიზანშეწონილი და სწორია. ჩვენ არ ჩავიტარებთ კომპანიის 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ან მიმოხილვა, გარდა აღნიშნული შესწორებებისა და შესაბამისად, ჩვენ არ გამოვხატავთ მოსაზრებას ან რაიმე სხვა სახის რწმუნებას მთლიანად 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. სხვა ინფორმაცია (წარმოდგენილი 21-25 გვერდებზე) მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ, მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ამასთან, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოგვეთხოვება მოსაზრების გამოთქმა იმის თაობაზე, „მმართველობის ანგარიშგების“ გარკვეული ნაწილები შეესაბამება თუ არა შესაფერის მარეგულირებელ-ნორმატიულ აქტებს და აგრეთვე იმის დადგენა, „მმართველობის ანგარიშგება“ შეიცავს თუ არა ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს შესაბამისად, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია იმ საანგარიშგებო წლის შესახებ, რომლის ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების თანმიმდევრულად; და
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია შესაფერის მარეგულირებელ ნორმებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კომპანიის ხელმძღვანელობა ვალდებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა კომპანიას განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძველად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჟღავნებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას დაეყრდნობიან.

ასს-ს შესაბამისი აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არგამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ საქმიანობის უწყვეტობის დაშვების მიზანშეწონილობაზე, ასევე მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით უზუსტობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ექვის ქვეშ დააყენოს კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის უნარი. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით განუსაზღვრელობას, მოგვეთხოვება, რომ აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნაზე ან, ამგვარი ახსნა-განმარტებითი შენიშვნის არაადეკვატურობის შემთხვევაში, მოვახდინოთ დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეფუძნება ჩვენ მიერ აუდიტორთა დასკვნის გაცემის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის, როგორც უწყვეტი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს დაგეგმილი აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტორული შემოწმებით გამოვლენილი მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ, მათ შორის აუდიტორის მიერ გამოვლენილი შიდა კონტროლის ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაკლოვანების შესახებ.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსების“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

25 სექტემბერი, 2020

თბილისი, საქართველო

შპს „ბლექ სი არენა ჯორჯია“

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2019	2018 (გადაანგარიშებული)
შემოსულობა სახელმწიფო სუბსიდიებიდან	6	10,400	7,756
შემოსავალი კომერციული საქმიანობიდან	7	2,351	1,791
სხვა საოპერაციო შემოსავალი		39	6
სულ		12,790	9,553
ცვეთა და ამორტიზაცია		(4,875)	(4,806)
არტისტების და სხვა საკონცერტო მომსახურების ხარჯები		(4,195)	(4,187)
შრომის ანაზღაურება	8	(2,536)	(2,871)
გადასახადები (გარდა მოგების გადასახადისა)	9	(762)	(688)
კომუნალური ხარჯები	10	(379)	(457)
იჯარის ხარჯები	11	(216)	(305)
სხვა საოპერაციო ხარჯები	12	(1,342)	(806)
საოპერაციო ზარალი		(1,515)	(4,567)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	13	(1,074)	-
ფინანსური შემოსავალი	14	385	263
საკუროს მოგება/(ზარალი)		(15)	(45)
ზარალი გადასახადის გადახდამდე		(2,219)	(4,349)
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული ზარალი		(2,219)	(4,349)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 25 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

ტარიელ ხარჩილავა
დირექტორი

ვახტანგ ტუკვაძე
ეკონომიკური სამსახურის უფროსი

შპს „ბლექ სი არენა ჯორჯია“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018 (გადაანგარიშებული)	1 იანვარი 2018 (გადაანგარიშებული)
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	15	49,426	55,203	58,880
არამატერიალური აქტივები	16	234	250	168
არამატერიალური აქტივებისთვის გადახდილი ავანსი	17	252	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		49,912	55,453	59,048
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო მატერიალური მარაგები	18	894	702	552
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	19	760	186	50
საგადასახადო აქტივი	20	406	548	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	21	3,489	812	5,428
სულ მიმდინარე აქტივები		5,549	2,248	6,030
სულ აქტივები		55,461	57,701	65,078
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	22	69,202	69,202	68,985
დაგროვილი ზარალი	22	(13,773)	(11,554)	(7,205)
სულ კაპიტალი		55,429	57,648	61,780
მიმდინარე ვალდებულებები				
გადავადებული შემოსავალი		-	-	3,000
საგადასახადო ვალდებულება	20	-	-	255
სავაჭრო ვალდებულებები	23	32	53	43
სულ მიმდინარე ვალდებულებები		32	53	3,298
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		55,461	57,701	65,078

შპს „ბლექ სი არენა ჯორჯია“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
1 იანვარი 2018 (გადაანგარიშებული)		68,985	(7,205)	61,780
საწესდებო კაპიტალის ზრდა	23	217	-	217
მიმდინარე წლის სრული ზარალი		-	(4,349)	(4,349)
31 დეკემბერი 2018 (გადაანგარიშებული)		69,202	(11,554)	57,648
მიმდინარე წლის სრული ზარალი		-	(2,219)	(2,219)
31 დეკემბერი 2019		69,202	(13,773)	55,429

შპს „ბლექ სი არენა ჯორჯია“

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2019	2018 (გადაანგარიშებული)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან:		
წლის სრული ზარალი	(2,219)	(4,349)
შესწორებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	4,875	4,806
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	1,074	-
ფინანსური შემოსავალი	(385)	(263)
უიმედო და საექვო ვალების ხარჯი	62	71
საკურსო სხვაობების ეფექტი	15	45
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები აქტივებსა და ვალდებულებებში მომხდარ ცვლილებებამდე	3,422	310
შემცირება/(ზრდა) საოპერაციო აქტივებში:		
ცვლილებები საქონელში	(214)	(150)
ცვლილებები დებიტორულ დავალიანებებში	(887)	(207)
ცვლილებები საგადასახადო აქტივებში	142	(803)
(შემცირება)/ზრდა საოპერაციო ვალდებულებებში:		
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებებში	(21)	(2,991)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული/(გასული) ფულადი სახსრები დაბეგვრამდე და პროცენტებამდე	2,442	(3,841)
გადახდილი პროცენტი	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2,442	(3,841)
საინვესტიციო აქტივობები		
ძირითადი საშუალების შესყიდვა	(142)	(1,115)
ძირითადი საშუალებების გასვლა	20	16
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	(13)	(111)
მიღებული პროცენტი	385	263
საინვესტიციო აქტივობებიდან მიღებული (გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	250	(947)
ფინანსური აქტივობები		
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	217
ნეტო წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსურ აქტივობებში	-	217
ნეტო ზრდა/(შემცირება) ფულის ან ფულადი ექვივალენტების	2,692	(4,571)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	812	5,428
კურსთა შორის სხვაობის ეფექტი ფულადად სახსრებზე	(15)	(45)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	3,489	812

1. კორპორატიული ინფორმაცია

ბლექ სი არენა ჯორჯია (შემდგომში „კომპანია“) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2016 წლის 15 ივლისს. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 405158804.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კულტურის, ხელოვნების და გართობის ინდუსტრიის სფეროში ღონისძიებების ორგანიზება. კომპანიის კუთვნილ საკონცერტო დარბაზში იმართება ადგილობრივი და საერთაშორისო არტისტების შოუები, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქვეყნის ცნობადობის ამაღლებას, ტურისტული პოტენციალისა და ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლების ზრდას. აღნიშნული, თავის მხრივ, ხელს უწყობს კულტურული ცხოვრების გააქტიურებას და ტურიზმის ზრდას. უზრუნველყოფს საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის ცნობადობის ამაღლებას საერთაშორისო მასშტაბით. აღნიშნული ღონისძიებების ჩატარება კომერციულთან ერთად ატარებს საზოგადოებრივი მნიშვნელობის ხასიათს.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს წარმოადგენს სოფელ ნატანებში არსებული საკონცერტო დარბაზი, ხოლო სათაო ოფისი მდებარეობს შემდეგ მისამართზე: თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ალექსიძე მერაბის ქ. #1.

კომპანიის მეწილეები: ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის 100%-იან მეწილეს წარმოადგენდა საქართველოს სახელმწიფო წარმოდგენილი შპს „ქონების მართვის ეროვნული სააგენტო“ სახით. სწორედ მას ეკისრება კომპანიის სტრატეგიული ამოცანების განსაზღვრისა და მიმდინარე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების ზედამხედველობა.

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ლარში და ღირებულებები დამრგვალებულია ათასებამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება კომპანიის პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგებაა, რომელიც შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) და საქართველოს კანონთან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“. კომპანიის მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. გარკვეული გამოწვევების გარდა, მსს ფასს-ით მოითხოვება 2019 წლის 31 დეკემბრის მოქმედი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების რეტროსპექტიული გამოყენება საწყისი, მსს ფასს-თან შესაბამისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისთვის 2018 წლის 1 იანვრისთვის და ყველა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში, რომელიც წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული საერთაშორისო სტანდარტის პირველადი გამოყენება. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის, ასევე 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებას, ამავე პერიოდის ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღამდე კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მეხუთე შენიშვნაში მოცემულია თუ რა გავლენა მოახდინა მსს ფასს-ებზე გადასვლამ 2018 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ ნაშთებსა და 2018 წლის შედეგზე.

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ გამოიყენა მხოლოდ მსს ფასს სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო გამონაკლისები.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

კომპანიას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აქვს დაგროვილი ზარალი 13,773 ლარის მოცულობით, ხოლო წლის შედეგი კი იყო ასევე ზარალი 2,219 ლარი. როგორც ეს ფინანსური ანგარიშგების 26-ე შენიშვნაშია მოცემული, COVID 19-მა პირდაპირი გავლენა იქონია კომპანიის საქმიანობაზე. მენეჯმენტმა და დამფუძნებლებმა შეათანახმეს კრიზისული პერიოდის საპროგნოზო შედეგები, ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს გადახედილ ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით. მენეჯმენტი მიერ გამოყენებული მსჯელობა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენების მართებულობის შესაფასებისას მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მეოთხე შენიშვნაში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, სადაც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2019 წლის 31 დეკემბრის, 2018 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

		საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
		აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2019	წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095
კურსი 2018	წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766	3.0701
კურსი 2018	წლის 1 იანვრისთვის	2.5922	3.1044

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ თანხებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ძირითადი საშუალებები.

- აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.
- შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რეზერვების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.
- დაუმთავრებელი მშენებლობა.** დაუმთავრებელი მშენებლობის დანახარჯები მოიცავს ძირითადი საშუალებების შექმნისა და მშენებლობის ხარჯებს. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულება მოიცავს მათი შექმნისთვის და მშენებლობისთვის გამოყენებულ მასალებს და შრომის ანაზღაურებას, იმ ძირითადი საშუალებების ცვეთას, რომელიც მონაწილეობას ღებულობს მათ შექმნაში და ასევე სხვა სახის ზედნადებ ხარჯებს. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულებაში ასევე შეყვანილია კონტრაქტორებისთვის გადახდილი ავანსები რაზეც მიმდინარეობდა სამუშაოები ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის. დაუმთავრებელი მშენებლობა მაშინ შედის ექსპლუატაციაში და მაშინ იწყება ცვეთის დარიცხვა, როდესაც იგი მოყვანილია იმ კონდიციაში და მდგომარეობაში, რომ კომპანიას შეუძლია მისი გამოყენება დასახული მიზნისათვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

• **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	50
სპეციალური ტექნიკა და ინვენტარი	5-10
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	5-10
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5
სხვა	5-10

არამატერიალური აქტივები.

• **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

• **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია ცხრილში შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
საბუღალტრო პროგრამები	5-10 წელი
სხვა	5-10 წელი

სასაქონლო-მატერიალური მარაგები. მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო გადასახადი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება თავდაპირველად გამოხატულია გარიგების თანხით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, საეჭვო ვალებზე შექმნილი

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

რეზერვის გამოკლებით. გაუფასურების რეზერვი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური საფუძველი რომ კომპანია ვერ შეძლებს მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები გამოხატულია ფაქტიური ღირებულებით, საექვო ვალებზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შეძენისთვის წინასწარი გადახდა გარდაიქმნება აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც კომპანიამ მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას. თუ არსებობს საფუძველი, რომ წინასწარ გადახდილი თანხის სანაცვლოდ არ მოხდება საქონლის ან მომსახურების მიღება, ხდება ავანსი გადაფასება და საკურსო სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, შესაბამისი საოპერაციო ხარჯების გამოკლებით და შემდგომში ასახულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

მოგების გადასახადი. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შეესებოდა დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სახელმწიფო გრანტი. სახელმწიფო გრანტები, მათ შორის არაფულადი გრანტები რეალური ღირებულებით, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მაშინ, როდესაც არსებობს საკმარისი რწმუნება, რომ:

ა) კომპანია შეასრულებს გრანტთან დაკავშირებულ პირობებს; და

ბ) გრანტი იქნება მიღებული.

სახელმწიფო გრანტის აღიარება არ ხდება მანამ, სანამ კომპანიას არ ექნება იმის საკმარისი რწმუნება, რომ დააკმაყოფილებს გრანტის პირობებს და მიიღებს გრანტს.

შემოსავლების აღიარება. შემოსავალი ფასდება მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს მიწოდებულ საქონელზე/მომსახურებაზე შეთანხმებული კომპენსაციის თანხას. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება საიმედოდ შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

როდესაც ბარტერული ტრანზაქციით მიღებული საქონლის რეალური ღირებულება ობიექტურად არ არის შეფასებული, შემოსავლები განისაზღვრება მიწოდებული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვეთება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში და ძირითადად იწახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების მართებულობა.** როგორც ეს ფინანსური ანგარიშგების 26-ე შენიშვნაშია მოცემული როგორც საქართველოში ასევე მსოფლიო მასშტაბით COVID 19-ის გამო დაწესებული შეზღუდვების შედეგად, კომპანიამ 2020 წლის განმავლობაში (ანგარიშგების გამოცემამდე პერიოდი) შეძლო მხოლოდ ერთი მცირე მასშტაბიანი ღონისძიების ჩატარება, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია კომპანიის საქმიანობასა და შედეგებზე. აღნიშნული წარმოადგენს ბალანსის თარიღის შემდგომ მომხდარ არამაკორექტირებელ მოვლენას და მენეჯმენტმა ფინანსური ანგარიშგების გამოშვებამდე შეაფასა თუ რამდენად მართებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება.

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის კომპანიას აქვს დაგროვილი ზარალი 13,773 ლარის ოდენობით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კომპანია დამოუკიდებლად ვერ ახერხებდა საკმარისი მოგების გენერირებას საოპერაციო ხარჯების დასაფინანსებლად. ამ მოვლენებსა და გარემოებებს შეუძლია ექვევებ დააყენოს კომპანიის უნარი, ოპერირება გააგრძელოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. კომპანიის ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით მართებულია შემდეგი მიზეზების გამო:

- 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის კომპანიამ მიიღო სუბსიდიები სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისგან ღონისძიებების და მასთან დაკავშირებული მიმდინარე ოპერაციების დასაფინანსებლად, მენეჯმენტი მოელის, რომ ტურიზმის განვითარების მხრივ არსებული სტრატეგიიდან გამომდინარე, მომავალშიც მოხდება კომპანიის დაფინანსება, 2020 წლის განმავლობაში ანგარიშგების გამოცემამდე პერიოდში მიღებულმა სუბსიდიამ შეადგინა 3,518 ლარი.
- 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიმდინარე აქტივები 5,517 ლარით აღემატება კომპანიის მიმდინარე ვალდებულებებს, რაც მიუთითებს იმაზე რომ კომპანიას არ აქვს ლიკვიდობის პრობლემა;
- 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია სესხი.
- მენეჯმენტმა განაახლა 2020 წლის ბიუჯეტი კოვიდ 19-ის გამო მომხდარი ცვლილებების გასათვალისწინებლად, კომპანიის მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე განთავსებული ფულადი სახსრების და მიღებული ან მისაღები სუბსიდიების გათვალისწინებით კომპანია შეძლებს მიმდინარე საოპერაციო ხარჯების გასტუმრებას და ყველა მიმდინარე ვალდებულების დაფარვას შეუფერხებლად, ხელშეკრულებით შეთანხმებული პირობების შესაბამისად.

არსებული ფაქტიური და მოსალოდნელი შედეგებისა და სახელმწიფოსგან, როგორც 100%-იანი მეწილესგან მოსალოდნელი მხარდაჭერის გათვალისწინებით, მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება მართებულია კომპანიისთვის.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვი. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. გაუფასურების ჯგუფური შეფასების მიზნით დებიტორული დავალიანება დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე. ასეთი მახასიათებლები შეესაბამება სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებას ასეთი აქტივების ჯგუფებისთვის, თითოეულ კატეგორიას განსაზღვრული აქვს ამ კატეგორიისთვის სპეციფიურ გაუფასურების რეზერვი. მნიშვნელოვანი მოთხოვნები თავდაპირველად გაუფასურებაზე ფასდება ინდივიდუალურად. რეალური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს შეფასებისაგან და კომპანიის შეფასებები შეიძლება უარყოფითად ან დადებითად გადაიხედოს მომავალში, შედეგების ან მოლოდინების მიხედვით.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

საგადასახადო კანონმდებლობა. მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდის. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. წინა პერიოდის შეცდომები და მსს ფასს სტანდარტზე გადასვლა

წინა პერიოდის შეცდომები არის საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში დაშვებული უზუსტობა ან ელემენტების გამოტოვება, წარმოქმნილი ერთი ან რამდენიმე პერიოდის წინ იმის გამო, რომ ვერ იქნა ან არასწორად იქნა გამოყენებული საიმედო ინფორმაცია, რომელიც:

- ა) ხელმისაწვდომი იყო, როცა შესაბამისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ნებადართული იყო საჯარო გამოქვეყნებისათვის; და
- ბ) მართლზომიერად მოსალოდნელი იყო, რომ მოძიებული და გათვალისწინებული იქნებოდა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის დროს.

წინა პერიოდის კორექტირებები:

- გადასახადები - გასულ პერიოდში (2017 წელი) არ იყო დარიცხული სრულად ქონების გადასახადი, ეფექტი 151 ლარი;
- რეკლასიფიკაციები - ფინანსური ანგარიშგების შესადარისობის პრინციპის უზრუნველყოფისა და ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარმოდგენის მიზნით გაკეთებულია რეკლასიფიკაციები ბალანსის და მოგება-ზარალის მუხლებს შორის.

2019 წლის ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ პირველად გამოიყენა მსს ფასს სტანდარტი და მოამზადა კორექტირებები გადასვლის ეფექტის რეტროსპექტიულად ასახვად. ცვლილება შეეხო არამატერიალურ აქტივზე ამორტიზაციის დარიცხვას რადგან მსს ფასს-ით განუსაზღვრელი მომსახურების ვადის მქონე აქტივებს ამორტიზაცია ერიცხება 10 წლის გამავლობაში. ასევე შეიცვალა ანარიცხი უიმედო და საეჭვო ვალებზე.

კომპანიამ ბასს 8-ის შესაბამისად რეტროსპექტიულად გაასწორა წინა პერიოდის შეცდომები და სტრუქტურული საფუძვლების ცვლილების ეფექტი. შედაგად მიღებული კორექტირებები წარმოდგენილია ქვემოთ.

	1 იანვარი 2018	მომზადების საფუძვლების ცვლილება	კორექტირება	1 იანვარი 2018 (გადაანგარიშებული)
არამატერიალური აქტივები	182	(14)	-	168
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	37	-	50
საგადასახადო აქტივი	(104)	-	(151)	(255)
დაგროვილი ზარალი	(7,077)	23	(151)	(7,205)
	31 დეკემბერი 2018	მომზადების საფუძვლების ცვლილება	კორექტირება	31 დეკემბერი 2018 (გადაანგარიშებული)
არამატერიალური აქტივები	278	(28)	-	250
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	56	130	-	186
საგადასახადო აქტივი	699	-	(151)	548
დაგროვილი ზარალი	(11,505)	102	(151)	(11,554)

შპს „ბლექ სი არენა ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

5. წინა პერიოდის შეცდომები და მის ფასს სტანდარტზე გადასვლა (გაგრძელება)

2018 წლის შედეგებზე კორექტირებების და რეკლასიფიკაციების შედეგი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	2018	მომზადების საფუძვლების ცვლილება	კორექტირება	რეკლასიფიკაცია	2018 (გადაანგარიშებული)
ცვეთა და ამორტიზაცია	(4,777)	(14)	-	(15)	(4,806)
შრომის ანაზღაურება	(2,920)	-	-	49	(2,871)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(914)	93	-	15	(806)
გადასახადები (გარდა მოგების გადასახადისა)	(639)	-	-	(49)	(688)

6. შემოსულობა სახელმწიფო სუბსიდიებიდან

	2019	2018
სუბსიდია საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისგან	6,500	5,061
სუბსიდია ქონების მართვის ეროვნული სააგენტოსგან	3,900	2,695
სულ	10,400	7,756

სახელმწიფოსგან მიღებული სუბსიდიების მიზნობრიობას წარმოადგენს ღონისძიებების მოწყობასა და მასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება.

7. შემოსავალი კომერციული საქმიანობიდან

	2019	2018
შემოსავალი ბილეთების რეალიზაციიდან	1,925	850
შემოსავალი სპონსორებიდან	162	466
შემოსავალი ბარებიდან	152	-
შემოსავალი იჯარიდან	79	473
სხვადასხვა	33	2
სულ	2,351	1,791

2018 წელს კომპანია იჯარით გასცემდა საკონცერტო დარბაზსა და მის შემოგარენში არსებულ ფართებს. 2019 წელს კომპანიამ შეცვალა აღნიშნული მიდგომა და ღონისძიებების დროს აღნიშნული ფართებიდან დაიწყო ალკოჰოლური და გაზიანი სასმელების რეალიზაცია საკუთარი ძალებით.

8. შრომის ანაზღაურება

	2019	2018 (გადაანგარიშებული)
თანამშრომლებზე გაცემული ხელფასები	(2,221)	(2,112)
თანამშრომლებზე გაცემული ბონუსები	(315)	(759)
სულ	(2,536)	(2,871)

9. გადასახადები (გარდა მოგების გადასახადისა)

	2019	2018 (გადაანგარიშებული)
ქონების გადასახადი	(517)	(567)
მიწის გადასახადი	(18)	(18)
სხვა საგადასახადო ხარჯი	(227)	(103)
სულ	(762)	(688)

10. კომუნალური ხარჯები

	2019	2018
კომერციული ხარჯი	(371)	(451)
ადმინისტრაციული ხარჯი	(8)	(6)
სულ	(379)	(457)

11. იჯარის ხარჯები

	2019	2018
მიწის იჯარა	(141)	(141)
ოფისის იჯარა	(40)	(33)
სხვა	(35)	(131)
სულ	(216)	(305)

მიწის იჯარის ხარჯი წარმოადგენს დარბაზის სიახლოვეს საპარკინგე ადგილის მოსაწყობად ნაქირავებ მიწაზე დარიცხულ ხარჯს.

12. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2019	2018 (გადაანგარიშებული)
რეკლამები და სხვა მარკეტინგული ხარჯები	(352)	(114)
სარემონტო ხარჯები	(249)	(225)
ბარის მომსახურების ხარჯი	(123)	(11)
ბილეთების ბეჭდვის და გაყიდვის მომსახურების ხარჯი	(118)	(43)
საკონსულტაციო ხარჯები	(110)	(46)
კომუნიკაციის ხარჯები	(92)	(70)
მივლინების ხარჯი	(75)	(68)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	(62)	(71)
სხვა	(161)	(158)
სულ	(1,342)	(806)

13. სხვა არასაოპერაციო ხარჯი

კომპანიამ 2019 წელს ჩაატარა სასაქონლო მატერიალური ფასეულობებისა და ძირითადი საშუალებების სრული ინვენტარიზაცია, რის შედეგადაც დაიდენტიფიცირდა ბუღალტრულ ბაზასთან სხვაობები. ძირითადი საშუალებების ზედმეტობამ შეადგინა 3,037 ლარი, ხოლო დანაკლისმა 4,089 ლარი; მარაგების ზედმეტობამ შეადგინა 339 ლარი, ხოლო დანაკლისმა 361 ლარი. 1,074 ლარი წარმოადგენს გამოვლენილი სხვაობების ჩამოწერა/აღდგენის წმინდა შედეგს.

2020 წლის თებერვლის თვეში ქონების მართვის სააგენტოსა და ქონების ჩუქების ფორმით გადამცემს შორის წარმოებული კომუნიკაციით ირკვევა, რომ ჩუქების ფორმით გადაცემული ქონების სია საჭიროებს გარკვეულ კორექტირებებს. აღნიშნული სიის დაკორექტირების შემთხვევაში შესაბამისად შეიცვლება კომპანიისთვის გადმოცემული ქონების სია და ინვენტარიზაციის შედეგად იდენტიფიცირებული ზედმეტობა და დანაკლისი.

14. ფინანსური შემოსავალი

კომპანიის ფინანსური შემოსავალი აკუმულირდება რეზიდენტ ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში განთავსებულ თანხებზე დარიცხული პროცენტისგან, რამაც 2019 წელს შეადგინა 385 ლარი, ხოლო 2018 წელს 263 ლარი.

შპს „ბლექ სი არენა ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

15. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა-ნაგებობები	სპეციალური ტექნიკა და ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სხვა	სულ
1 იანვარი 2018	361	22,000	37,687	2,064	450	657	63,219
შემოსვლა	-	-	1,090	-	18	7	1,115
გასვლა	-	-	(6)	-	-	(11)	(17)
31 დეკემბერი 2018	361	22,000	38,771	2,064	468	653	64,317
ინვენტარიზაციის შედეგად მიღებული ზედმეტობა	-	-	2,445	-	325	267	3,037
შემოსვლა	-	-	133	-	4	5	142
ჩამოწერა	-	-	(5,315)	-	(321)	(200)	(5,836)
გასვლა	-	-	(8)	-	-	(16)	(24)
31 დეკემბერი 2019	361	22,000	36,026	2,064	476	709	61,636
დაგროვილი ცვეთა							
1 იანვარი 2018	-	(440)	(3,767)	(3)	(63)	(66)	(4,339)
ცვეთის ხარჯი	-	(440)	(3,812)	(413)	(46)	(65)	(4,776)
გასვლა	-	-	-	-	-	1	1
31 დეკემბერი 2018	-	(880)	(7,579)	(416)	(109)	(130)	(9,114)
ცვეთის ხარჯი	-	(440)	(3,883)	(413)	(47)	(64)	(4,847)
ჩამოწერა	-	-	1,591	-	96	60	1,747
გასვლა	-	-	1	-	-	3	4
31 დეკემბერი 2019	-	(1,320)	(9,870)	(829)	(60)	(131)	(12,210)
საბალანსო ღირებულება							
1 იანვარი 2018	361	21,560	33,920	2,061	387	591	58,880
31 დეკემბერი 2018	361	21,120	31,192	1,648	359	523	55,203
31 დეკემბერი 2019	361	20,680	26,156	1,235	416	578	49,426

ინვენტარიზაციის შედეგები აისახა 2019 წლის 31 დეკემბერს, შესაბამისად აღნიშნულ ძირითად საშუალებებს არ აქვს ცვეთის ხარჯი.

შპს „ბლექ სი არენა ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

16. არამატერიალური აქტივები

ისტორიული ღირებულება	ღონისძიებების ჩანაწერები	ლიცენზიები	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
1 იანვარი 2018 (გადაანგარიშებული)	170	11	-	181
შემოსვლა	104	4	3	111
გასვლა	-	(15)	-	(15)
31 დეკემბერი 2018 (გადაანგარიშებული)	274	-	3	277
შემოსვლა	-	12	1	13
გასვლა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2019	274	12	4	290
დაგროვილი ამორტიზაცია				
1 იანვარი 2018 (გადაანგარიშებული)	(6)	(7)	-	(13)
ამორტიზაციის ხარჯი	(21)	(8)	-	(29)
გასვლა	-	15	-	15
31 დეკემბერი 2018 (გადაანგარიშებული)	(27)	-	-	(27)
ამორტიზაციის ხარჯი	(27)	(1)	(1)	(29)
გასვლა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2019	(54)	(1)	(1)	(56)
საბალანსო ღირებულება				
1 იანვარი 2018 (გადაანგარიშებული)	164	4	-	168
31 დეკემბერი 2018 (გადაანგარიშებული)	247	-	3	250
31 დეკემბერი 2019	220	11	3	234

17. არამატერიალური აქტივებისთვის გადახდილი ავანსი

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით არამატერიალური აქტივებისთვის გადახდილი ავანსი 252 ლარის ოდენობით, წარმოადგენს ბილეთების სამართავი პროგრამული უზრუნველყოფის შექმნისთვის გადახდილ თანხებს.

18. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
ელექტრო საქონელი	502	300	208
დამხმარე მასალები	342	381	334
საწვავი	42	21	10
ბარის მარაგები	8	-	-
სულ	894	702	552

19. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018 (გადაანგარიშებული)	1 იანვარი 2018 (გადაანგარიშებული)
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	760	-	-
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	143	268	61
	903	268	61
საექვო და უიმედო ვალების რეზერვი	(143)	(82)	(11)
სულ	760	186	50

უიმედო და საექვო მოთხოვნებზე შექმნილ რეზერვებზე მოძრაობა შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	სავაჭრო მოთხოვნები
1 იანვარი 2018	(11)
მოგება-ზარალში აღიარებული რეზერვის მოცულობა	(71)
ჩამოწერილი მოთხოვნების ამოღება	-
31 დეკემბერი 2018	(82)
მოგება-ზარალში აღიარებული რეზერვის მოცულობა	(62)
ჩამოწერილი მოთხოვნების ამოღება	1
31 დეკემბერი 2019	(143)

20. საგადასახადო აქტივი

2016 წლის 1 იანვარიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შედსაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე. შესაბამისად, საგადასახადო აქტივი და ვალდებულება წარმოდგენილია ნეტო თანხით. 2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც შემოღებულია ძალაში შესვლის განსხვავებული თარიღი. ახალი ნორმატიული აქტის თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით.

20. საგადასახადო აქტივი (გაგრძელება)

კომპანიებს უფლება აქვთ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგვრა სცდება მოგების გადასახადის მოქმედების არეალს და 2017 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

21. ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის ფულადი სახსრების ნაშთი წარმოადგენს რეზიდენტ ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ ეროვნულ ვალუტაში ნომინირებულ თანხებს. კომპანიას არ გააჩნია დეპოზიტები კომერციულ ბანკებში.

22. კაპიტალი

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შპს "ბლექ სი არენა ჯორჯიას" 100%-იანი მფლობელი იყო სახელმწიფო, რომელიც კომპანიას ფლობს შპს "ქონების მართვის ეროვნული სააგენტოს" მეშვეობით.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი შედგება ქონებისა და მართვის სააგენტოსგან მიღებული ფულადი და არაფულადი შენატანებისგან. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი მოიცავს 7,092 ლარის ფულად შენატანებს, 486 ლარის მარაგების და 61,624 ლარის ძირითადი საშუალებების სახით განხორციელებულ არაფულად შენატანებს, რისი საწესდებო კაპიტალში შეტანა მოხდა 2016 - 2018 წლების განმავლობაში

23. სავაჭრო ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
სავაჭრო ვალდებულებები	30	48	43
ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ	2	5	-
სულ	32	53	43

24. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები. დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წამოყენებული. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის შედეგად. აქედან გამომდინარე, ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის შექმნილი რეზერვი შესაბამის პირობით ვალდებულებებთან დაკავშირებით.

გადასახადები. საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონმდებლობით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ მაქსიმუმ წინა სამი წლის პერიოდზე.

შპს „ბლექ სი არენა ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

25. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, როგორც წესი, განიხილება, რომ ურთერთდაკავშირებულნი არიან, თუ იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ ან თუ ერთ მხარეს აქვს სხვა მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ან განახორციელოს ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებაში. 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ნაშთები:

სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებული მხარის მიმართ

კომპანია	დაკავშირების სახე	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
შპს აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	2	5	-

დაკავშირებული მხარისგან მიღებული დაფინანსება

კომპანია	დაკავშირების სახე	2019	2018
შპს ქონების მართვის ეროვნული სააგენტო	სათავო საწარმო	3,900	2,695
სუბსიდიის საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისგან	სხვა	6,500	5,061

შემენა დაკავშირებული მხარისგან

კომპანია	დაკავშირების სახე	2019	2018
შპს აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	56	46

ოპერაციები მენეჯმენტთან და დამფუძნებლებთან

	2019	2018
უმაღლესი მმართველობითი რგოლის ხელფასები	229	192

26. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2019 წლის ბოლოს ჩინეთიდან გავრცელდა ინფორმაცია COVID-19-ის (Coronavirus) შესახებ. წლის ბოლოს უცნობი ვირუსის რამდენიმე შემთხვევა იყო ცნობილი ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციისათვის. 2020 წლის პირველ თვეებში ვირუსის გლობალურმა გავრცელებამ და მისმა ნეგატიურმა გავლენამაც მოიმატა. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ აღნიშნული ფაქტი და უარყოფითი შედეგები წარმოადგენს არამაკორექტირებელ ბალანსის შემდგომ მოვლენას. კომპანიის ბიზნესიდან გამომდინარე დაწესებულმა შეზღუდვებმა შეუძლებელი გახადა ძირითადი საქმიანობის მხრივ უკვე დაგეგმილი ღონისძიებების ჩატარება.

მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ კომპანიის ფუნქციონირებადობას საფრთხე არ ემუქრება. მენეჯმენტი გააგრძელებს პოტენციური ზემოქმედების მონიტორინგს და მიიღებს ყველა ზომას პანდემიის ეფექტების შესამსუბუქებლად.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიის საწესდებო კაპიტალში 100% მეწილის, სახელმწიფოს მიერ განხორციელდა არაფულადი შენატანები, რაც მოიცავდა მიწებსა და შენობა-ნაგებობებს. შენატანების საბაზრო ღირებულებამ ჯამურად შეადგინა 24,787 ლარი.

შპს „ბლექ სი არენა ჯორჯია“

მმართველობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

ბლექ სი არენა ჯორჯია (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის დირექტორია ტარიელ ხარჩილავა, დირექტორს ნიშნავს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

კომპანიის საქმიანობის სახე და ძირითადი სამოქმედო ბაზრები:

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კულტურის, ხელოვნების და გართობის ინდუსტრიის სფეროში საქმიანობა. „ბლექ სი არენას“ საკონცერტო დარბაზში, იმართება მსოფლიო აღიარების მქონე ვარსკვლავთა კონცერტები, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქვეყნის ცნობადობის ამაღლებას, ტურისტული პოტენციალისა და ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლების ზრდას.

კომპანიის სტრუქტურა.

კომპანიის გენერალური დირექტორი 2019 წლის 1 იანვრიდან იყო ანა კავლელიშვილი, ხოლო 2019 წლის 1 აპრილიდან ანგარიშგების მომზადებამდე პერიოდში კომპანიის დირექტორია. ტარიელ ხარჩილავა წესდების მიხედვით დირექტორს ნიშნავს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.


შპს „ბლექ სი არენა ჯორჯია“ არ ფლობს ინვესტიციებს სხვა კომპანიებში.

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მაჩვენებლები

2019 წლის შემოსავალმა შეადგინა 12,751 ლარი, რაც 33,5%-ით აჭარბებს 2018 წლის ანალოგიურ მონაცემს. შემოსავლის ზრდა დაკავშირებულია სახელმწიფოსგან მიღებული სუბსიდიების ზრდასა და ბილეთების რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავლების ზრდასთან.

კომპანიის შემოსავლების დინამიკა ბოლო 3 წლის განმავლობაში:



შპს „ბლექ სი არენა ჯორჯია“

მმართველობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

ძირითადი კოეფიციენტები:

	2019	2018
სულ შემოსავალი	12,790	9,553
სულ აქტივები	55,461	57,701
დასაქმებულთა საშუალო რიცხვი	110	110
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი (Qurent Ratio)	176.12	42.12
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი (Quick Ratio)	147.73	28.96
კრედიტორების ბრუნვა (დღე)	2.74	4.65
დებიტორების ბრუნვა (დღე)	117.92	38.00
უკუგება კაპიტალზე	(0.04)	(0.08)

არაფინანსური მაჩვენებლები

თანამშრომლები: შპს „ბლექ სი არენა ჯორჯიას“ პერსონალის რაოდენობა წლის განმავლობაში მერყეობდა 105 დან 115-მდე. კომპანიას აქვს თავისი დასაქმების პოლიტიკა და პროცედურები რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატების მოძიება და შეფასება.

როგორც დამქირავებელი, შპს „ბლექ სი არენა ჯორჯია“ სთავაზობს პერსონალს განვითარებაზე ორიენტირებულ მიდგომებს და მუდმივ საკვალიფიკაციო ტრენინგებს საიმისოდ, რომ პერსონალმა უზრუნველყოს საუკეთესო მომსახურება კლიენტებისთვის. კომპანიის მენეჯმენტი და დამფუძნებლები პასუხისმგებლობით უდგებიან ბიზნესის სპეციფიკიდან გამომდინარე არსებულ რისკებს და მუდმივად ზრუნავენ თანამშრომლების პროფესიონალიზმის ამაღლებაზე რათა უზრუნველყოფილი იყოს პრაქტიკაში მოქმედი სტანდარტების და პროცედურების დაცვა.

ძირითადი მომწოდებლები და კლიენტები

კომპანიას ღონისძიებების ორგანიზებაში და მსოფლიო დონის ვარსკვლავებთან ურთიერთობაში ძირითადად პარტნიორობას უწევს შემდეგი კომპანიები: DOMINUS CREATIVA d.o.o, General Entertainment Associates Productions B.V., Senatus Populusque Romanus Concerts B.V. კომპანიის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებზე დასწრების შესაძლებლობა აქვს ნებისმიერ მსურველს. ასეთი მასშტაბის ღონისძიებები ხელს უწყობს ტურიზმის სფეროს კიდევ უფრო განვითარებას.

ურთიერთობა სახელმწიფო უწყებებთან: კომპანია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად,

კომპანიას საგადასახადო შემოწმება დაარსების დღიდან ფინანსური ანგარიშგების წარდგენამდე პერიოდში არ გაუვლია.

3. სუბიექტის განვითარების გეგმები

2019 წელს წინა წელთან შედარებით 31%-ით არის გაზრდილი ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი ხოლო ჯამური შემოსავალი კი 33,9%-ით. 2019 წელს კომპანიის მენეჯმენტი აქტიურად იყო ჩართული კომპანიის როგორც მოკლევადიანი ასევე გრძელვადიანი განვითარების გეგმის შემუშავებაში. მნიშვნელოვნად გაიზარდა დარბაზის დატვირთვის მაჩვენებელი რაც აისახა ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის ზრდაში. ასევე 2019 წლის ზარალი წინა წლიდან შემცირებულია 48.9%-ით.

კომპანიის გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიაში მნიშვნელოვანია ტურიზმის განვითარების სააგენტოს და პროცესში ჩართულ სხვა მხარეებთან თანამშრომლობით შემუშავდეს ისეთი მოდელი რაც შესაძლებელს გახდის მაღალი დონის ღონისძიებების ორგანიზებას წელიწადის ყველა დროს და ამავდროულად მოიზიდავს მაყურებელს როგორც ქვეყნის შიგნიდან ასევე რეგიონის მასშტაბით.

3. სუბიექტის განვითარების გეგმები (გაგრძელება)

ახალი მომხმარებლების მოზიდვა

კომპანია მუდმივად ცდილობს გააუმჯობესოს ღონისძიებების ხარისხი და მაყურებლებს შესთავაზოს ხარისხიანი სანახაობა, რაც ხელს უწყობს მეზობელი ქვეყნებიდან ტურისტების მოზიდვას.

ახალი ტექნოლოგიების დანერგვა

კომპანია მუდმივად ადევნებს თვალს სიახლეებს შოუბიზნესის სფეროში, მუდმივად ზრუნავს აპარატურის განახლებაზე, რათა ნებისმიერი მსოფლიო დონის ვარსკვლავისთვის შესაძლებელი და სასურველი იყოს "ბლექ სი არენას" დარბაზში ღონისძიების გამართვა.

4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2019 წელს კომპანია არ იყო ჩართული კვლევებში და მსგავს ღონისძიებებში.

5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2019 წელს არ მომხდარა კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.

6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები.

წლიდან წლამდე დამატარი მნიშვნელოვანი ცვლილებები:

ფინანსური ანგარიშგების არე	2019	2018	გადახრის ახსნა
შემოსავალი სახელმწიფო სუბსიდიებიდან	10,400	7,756	შენიშვნა 1
ძირითადი საშუალებები	49,426	55,203	შენიშვნა 2
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	1,035	-	შენიშვნა 2
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	760	186	შენიშვნა 3

შენიშვნა #1:

კომპანიის სახელმწიფო სუბსიდიებიდან მიღებული შემოსავალი 2018 წელთან შედარებით გაზრდილია. კომპანიამ 2019 წელს სუბსიდიის მიღებას ასევე ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისგან „ჩექინ ჯორჯია“-ს ფარგლებში გასამართი ღონისძიებებისთვის.

შენიშვნა #2:

კომპანიის ძირითადი საშუალებების ნაშთი შემცირებულია მიმდინარე პერიოდის ცვეთის ხარჯის დარიცხვით. გარდა ამისა 2019 წელს კომპანიამ ჩაატარა ძირითადი საშუალებების სრული ინვენტარიზაცია, რის შედეგადაც მიღებული ზედმეტობა/დანაკლისის წმინდა ეფექტმა შეადგინა 1,035 ლარი.

შენიშვნა #3:

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მკვეთრი ზრდის მიზეზია DOMINUS CREATIVA d.o.o-სთვის გადახდილი ავანსი, რომელსაც 2020 წლის განმავლობაში ჩასატარებელ ღონისძიებაზე უნდა გაეწია ერთი-ერთი მსოფლიო დონის ვარსკვლავის ჩამოყვანის ორგანიზება.

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკები:

კომპანია ძირითადად საქმიანობს საქართველოში. შესაბამისად, კომპანიის საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს ქვეყნის ბიზნეს გარემო და პოლიტიკური ფაქტორები. ქვემოთ ცხრილში მოცემულია ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები:

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

	2019	2018
მოსახლეობის რიცხოვნობა 31 დეკემბრისთვის	3,716.9	3,723.5
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	17.7	17.6
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი ერთეულებში	4,763.50	4,722.0
მშპ-ის რეალური ზრდა, %	5.10%	4.8%
საშუალო წლიური ინფლაცია	4.90%	2.60%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები FDI (მილიონი აშშ დოლარი)	1,310.80	1,265.2
უმუშევრობის დონე, %	11.60%	12.70%

გლობალური პანდემია და მასთან დაკავშირებული რისკები

2020 წლის მარტში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ახალი კორონავირუსი („COVID-19“) პანდემიად გამოაცხადა. COVID-19-ით ინფიცირების პირველი შემთხვევა დაავადებათა კონტროლის ეროვნულმა ცენტრმა 2020 წლის თებერვალში დაადასტურა.

კომპანია ასრულებს საქართველოს მთავრობის მიერ გაცემულ ოფიციალურ რეკომენდაციებს, რათა უზრუნველყოს თავისი თანამშრომლების უსაფრთხოება და თავისი საქმიანობის უწყვეტობა. COVID-19-ის შემდგომი გავრცელება საქართველოსა და მთელ მსოფლიოში, უარყოფითად იმოქმედებს ეკონომიკაზე, თუმცა რთულია კომპანიის საქმიანობაზე მისი შესაძლო გავლენის სრულად გააზრება და შეფასება.

პანდემიის გამო დაწესებულმა შეზღუდვებმა გავლენა იქონია კომპანიის საქმიანობაზე და წარმოშვა მნიშვნელოვანი ბიზნეს რისკები რაც მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან განსაკუთრებულ ყურადღებას და ეფექტურ მართვას.

2020 წლის განმავლობაში კომპანიას დაგეგმილი ჰქონდა რამდენიმე მსოფლიო დონის ღონისძიების ჩატარება, თუმცა 2020 წლის გაზაფხულზე დაწესებული შეზღუდვების გამო კომპანიის მიერ დაგეგმილი ღონისძიებები სრულიად გაუქმდა. კომპანია ღონისძიებების ჩასატარებლად და სხვადასხვა საოპერაციო ხარჯების დასაფარად სახელმწიფოსგან იღებს სუბსიდიებს, შესაბამისად კომპანიას არ შექმნია პრობლემა ვალდებულებების დროულად გასტუმების მხრივ და კონტრაქტებისა თუ თანამშრომლების წინაშე არსებული ვალდებულებების დაფარვა ხდებოდა შეუფერხებლად სახელმწიფო პირობების შესაბამისად.

გამომდინარე იქიდან, რომ პანდემია და მისი ეფექტი წარმოადგენს ბალანსის თარიღის შემდეგ მომხდარ არამაკორექტირებელ მოვლენას, ამ ფაქტს არ მოუხდენია გავლენა წლის შედეგსა და წლის ბოლოსთვის არსებულ ნაშთებზე. ჯგუფის მენეჯმენტის შეფასებით მოკლევადიან პერსპექტივაში ჯგუფის წინაშე არ დგას კრიტიკულად მნიშვნელოვანი გადაულახავი პრობლემები.

საკრედიტო რისკი და მისი მართვის მექანიზმები

კომპანიას ბიზნესის სპეციფიკიდან გამომდინარე არ გააჩნია საკრედიტო რისკი.

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. კომპანიის საკრედიტო რისკები არ არის კონცენტრირებული ერთ რომელიმე სექტორზე, თუმცა არსებითად არის დამოკიდებული ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ფონზე. ბიზნესის რენტაბელობა რა თქმა უნდა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყანაში ტურიზმთან არსებულ ტენდენციებზე.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

საბაზრო რისკებისადმი სენსიტიურობა ემყარება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას, ყველა დანარჩენი ფაქტორის უცვლელად დატოვებით. პრაქტიკაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს მოხდეს და გარკვეული ფაქტორების ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსების ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშვა რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში. კომპანიის სავალუტო რისკი კონცენტრირებულია აშშ დოლარსა და ევროში რაც წარმოიქმნება ერთი მხრივ უცხოურ ვალუტაში მოზიდული ფინანსური რესურსებით და მეორეს მხრივ უცხოური კომპანიებიდან წარმოებული შესყიდვებით. კომპანია არ იყენებს სავალუტო რისკის დაზღვევისთვის რაიმე ტიპის ინსტრუმენტებს გარდა თავისუფალი ფულადი სახსრებით უცხოურ ვალუტაში არსებული საკრედიტო ხაზის დაფარვის პრიორიტეტულობა, კურსებთან დაკავშირებული მოლოდინების გათვალისწინებით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე.

საპროცენტო განაკვეთის ცვლილების რისკს მენეჯმენტი არ განიხილავს მნიშვნელოვან რისკ ფაქტორად.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 25 სექტემბერს:

ტარიელ ხარჩილავა
დირექტორი

ვახტანგ ტუკვაძე
ეკონომიკური სამსახურის
უფროსი